# ურბანიზაციის ზეგავლენა გარემოსა და საზოგადოებაზე.

***ლადო გრიგოლია***

ელ-ფოსტა: ladogrigolia2@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

ურბანიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება საქალაქო მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა ქვეყნის (რეგიონის) მთელ მოსახლეობაში და ქალაქური ცხოვრების წესის ფართო გავრცელება. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ყველა რეგიონში გვიჩვენებს, რომ ურბანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული შემოსავლების მზარდ დონესთან და სოციალური ინდიკატორების გაუმჯობესებასთან, როგორებიცაა: სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე, ბავშვთა სიკვდილიანობა, ინფრასტრუქტურისა და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის ისტორიული განვითარება, თანამედროვე მდგომარეობა და მოვლენები რომლებიც ამ პროცესის განვითარებას ახლავს თან. გამოყოფილია ძირითადი მიზეზები და შედეგები, რომლებიც ხაზს უსვამს საკითხის აქტუალობას. რურალური ზონებიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ურბანულ დასახლებებში ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ საზოგადოებაზე არამედ გეოგრაფიულ გარემოზეც, რასაც ხშირ შემთხვევაში, დადებითთან ერთად, უარყოფით შედეგებამდე მივყავართ. საკითხის ამ კუთხით დანახვა უამრავ პრობლემას წარმოაჩენს, რაც ურბანული ზონების გაფართოებით და ინფრასტრუქტურის განვითარებით გამოწვეულ ეკოლოგიურ ზიანს უკავშირდება. უბრანიზაცია დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა, როგორც პროცესი, სადაც ერთი სახის გარემო, მოხსენიებული, როგორც „ბუნებრივი“ გარემო, იცვლებოდა ან უფრო ხშირად შთაინთქმებოდა „სამშენებლო“ გარემოთი. ქალაქებსა და ბუნებას შორის უერთიერთობა დიდი ხნის განმავლობაში იყო ბუნების დამცველი სოციალური თეორიტიკოსებისა და სოციალურად მოაზროვნე გარემოს დამცველი თეორიტიკოსების კამათისა და დავის საგანი, რაც დღემდე არ კარგავს აქტუალობას.